

სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის  
№199 საჯარო სკოლა

## სასკოლო-სასწავლო გეგმა

2024-2025 სასწავლო წელი

შეთანხმებულია სკოლის დირექტორის მ/შ-თან 13.09.2024 წელს  
შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს წევრებთან 11.09.2024 წლის სხდომაზე

დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 13.09.2024 წლის სხდომაზე

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე:

თ. მშვენთაძე

სამეურვეო საბჭოს წევრთა სხდომის თავმჯდომარე:

ნ. პაპაშვილი

შემუშავებულია დირექტორის მ/შ-ის მონაწილეობით

ი. კვიციანი

## შინაარსი

<b>1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია.....</b>	<b>5</b>
1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია.....	5
1.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განაცხადი.....	5
1.3. სკოლის მიზნები და ამოცანები სწავლების საფეხურების მიხედვით.....	5
<b>2. საგანმანათლებლო პრინციპები და მეთოდოლოგიური ორიენტირები.....</b>	<b>6</b>
2.1. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა.....	6
2.2. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა.....	6
2.3. სიღრმისეული სწავლება.....	6
2.4. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა.....	6
2.5. დისციპლინა.....	7
2.6. მოსწავლეთა ჩართულობა.....	7
2.7. სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.....	7
2.8. ინკლუზიური განათლება.....	8
<b>3. 2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი.....</b>	<b>8</b>
3.1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.....	8
3.2. არდადეგები.....	8
3.3. უქმე დღეები.....	8
3.4. გაკვეთილების განრიგი და დღის რეჟიმი VII-XII კლასელთათვის.....	9
<b>4. სადამრიგებლო პროგრამა.....</b>	<b>10</b>
4.1. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მუშაობის მიზანი.....	10
4.2. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მოვალეობები.....	10

4.3. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მუშაობის პრინციპები.....11

**5. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრონციპები .....11**

5.1. საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი.....12

5.2. კათედრების ფუნქციები.....12

5.3. კათედრის მოწყობა.....12

**6. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.....13**

6.1. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი.....13

6.2. დამატებითი კონსულტაციები.....14

**7. განაყოფები.....14**

**8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა.....14**

8.1. მოსწავლის შეფასების მიზანი.....14

8.2. მოსწავლის შეფასების ამოცანები.....14

8.3. მოსწავლის შეფასების პრონციპები.....15

8.4. განმსაზღვრელი შეფასების სახეობები.....16

8.5. გაცდენები.....17

8.6. გამოცდის ტიპები.....17

8.7. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნის/საგნების შეფასების წესი...18

**9. კლასის დაძლევა და მომდევნო კლასში გადაყვანა.....19**

**10. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.....21**

10.1. ვერიფიკაციის ამოცანები.....21

10.2. ვერიფიკაციის მიმართულებები.....22

**11. სასკოლო საათობრივი ბადე .....22**

**12. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.....22**

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.....	23
13.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეთათვის.....	24
13.2. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენა.....	24
13.3. სკოლაში არსებული ფიზიკური გარემო სსსმ მოსწავლისთვის.....	25
14. პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა.....	25
15. მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში.....	25
16. სასკოლო გარემოში მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა.....	26
17. პერსონალის მართვა და განვითარება.....	27
18. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება.....	28
19. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა.....	28
20. საინფორმაციო რესურსები.....	29
20.1. მშობლებთან შეხვედრების ორგანიზება.....	29
21. ფინანსური რესურსები.....	29
22. სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის, დანერგვისა და მონიტორინგის მეთოდები და მექანიზმები.....	29
24. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა.....	30

## მუხლი 1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია

### 1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

აღმოაჩინოს მათემატიკური უნარებით გამორჩეული მოსწავლეები საქართველოში და აღზარდოს მომავალი ლიდერები.

### 1.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განაცხადი

- ა) მოსწავლეებს მისცეს მაღალი ხარისხის პროფილური განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ბ) მოსწავლეებს დაეხმაროს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და მუშაობის უნარის გამომუშავებაში;
- გ) მოსწავლეებს ადრეულ ასაკში გააცნოს მეცნიერული მუშაობის მეთოდები;
- დ) მოსწავლეებს განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ე) მოსწავლეებში გააღრმავოს მიზანდასახულობა, თვითრეალიზაციის სურვილი, მოტივაცია;
- ვ) მოსწავლეებს გამოუმუშავოს სირთულეების გადალახვის უნარი;
- ზ) ხელი შეუწყოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულებით სასკოლო სწავლების მეთოდებისა და მიდგომების განვითარებას.

### 1.3. სკოლის მიზნები და ამოცანები სწავლების საფეხურების მიხედვით

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება მიმდინარეობს საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები).

საბაზო საფეხურის მისია არის საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, დამოუკიდებელი მუშაობისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლის შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

საშუალო საფეხურის მისიაა:

- ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლისშემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. გარდა ამისა, სკოლა მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:
  - ა) პრობლემების გადაჭრა;
  - ბ) კრიტიკული აზროვნება;
  - გ) შემოქმედებითი აზროვნება;
  - დ) თანამშრომლობა;
  - ე) კომუნიკაცია;
  - ვ) ეთიკა;

- ზ) მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა;
- თ) დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- ი) კვლევა;
- კ) სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა;
- ლ) პასუხისმგებლობა;
- მ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ნ) წიგნიერება.

## **მუხლი 2. საგანმანათლებლო პრინციპები და მეთოდოლოგიური ორიენტირები**

### **2.1. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა**

- ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს;
- ბ) სასწავლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

### **2.2. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა**

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:

- ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით (არ იგულისხმება ინგლისური ენის განაყოფი);
- ბ) განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

### **2.3. სიღრმისეული სწავლება**

სკოლა უზრუნველყოფს სიღრმისეულ სწავლებას, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას;

### **2.4. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა**

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

### **2.5. დისციპლინა**

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნა.

## 2.6. მოსწავლეთა ჩართულობა

მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

## 2.7. სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები

სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

ა) კრიტიკული აზროვნება - მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;

ბ) შემოქმედებითი აზროვნება - მოსწავლეს ეძლევა საშუალება, შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშავოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;

გ) თანამშრომლობა - მოსწავლეს ეძლევა საშუალება, წარმატებით იმუშავოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გააზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;

დ) კომუნიკაცია - მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში;

ე) ხასიათი/ნებელობა - მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება-წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;

ვ) მოქალაქეობა - მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანამშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები და სტრატეგიები:

ა) აქტიური სწავლა;



- ბ) ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით;
- გ) სწავლის სწავლა;
- დ) ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) გამოყენება;
- ე) ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

## 2.8. ინკლუზიური განათლება:

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

## მუხლი 3. 2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი

**3.1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.**

- ა) I სემესტრი - 16. 09. 2024 წ. - 27. 12. 2024 წ.;
- ბ) II სემესტრი - 15. 01. 2025 წ. -13. 06. 2025 წ., ხოლო მე-12 კლასებისთვის 16.01.2024 – 20.05.2025;
- გ) VII – XII კლასებში სასწავლო კვირა ხუთდღიანია;
- დ) VII – XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაიშვას გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით.

## 3.2. არდადეგები.

- ა) 30.12.2024 - 14.01.2025 - ზამთრის არდადეგები;
- ბ) 10.03.2025 – 14.03.2025 - საგაზაფხულო არდადეგები;
- გ) 18.04.2025 – 21.04.2025 - სააღდგომო არდადეგები.

## 3.3. უქმე დღეები.

- ა) 14.10.2024 - სვეტიცხოვლობა;
- ბ) 23.11.2023 - გიორგობა;
- გ) 19.01.2024 - ნათლისღება;
- დ) 03.03.2024 - დედის დღე;
- ე) 09.04.2024 - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- ვ) 09.05.2024 - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
- ზ) 12.05.2024 - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;



- თ) 26.05.2024 - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- ი) სკოლა უფლებამოსილია უქმე დღეებსა და არდადეგების პერიოდში განახორციელოს მხოლოდ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით გათვალისწინებული აქტივობა;
- კ) სკოლის დირექცია უფლებამოსილია არასამუშაო/არასასწავლო დღეს, შაბათს ან კვირას, დანიშნოს სასკოლო ქვიზი ან/და შემაჯამებელი წერა, რომლის შესახებაც მოსწავლეებს ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 7 კალენდარული დღით ადრე.
- 2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი დანართის სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.**

### 3.4. გაკვეთილების განრიგი და დღის რეჟიმი VII-XII კლასელთათვის.

- ა) სპორტის გარდა, გაკვეთილები ჩატარდება საკლასო ოთახებში (დირექტორის/მოადგილის გადაწყვეტილებით გაკვეთილი შეიძლება ჩატარდეს სხვა სივრცეშიც);
- ბ) დღის განმავლობაში თითოეულ მოსწავლეს (კლასს) ჩაუტარდება არაუმეტეს 7 გაკვეთილისა;
- გ) VII-XI კლასების მოსწავლეებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ **08:30 საათიდან 14:40 საათამდე**;
- დ) XII კლასის მოსწავლეებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ **13:05 საათიდან 17:15 საათამდე**;
- ე) გაკვეთილების განრიგი VII-XII კლასელთათვის:

#### VII-XI კლასები:

N	დაწყების დრო	დასრულების დრო
I გაკვეთილი	08:30	09:15
II გაკვეთილი	09:20	10:05
III გაკვეთილი	10:10	10:55
<b>დიდი დასვენება</b>	<b><u>10:55</u></b>	<b><u>11:20</u></b>
IV გაკვეთილი	11:20	12:05
V გაკვეთილი	12:10	12:55
VI გაკვეთილი	13:05	13:50
VII გაკვეთილი	13:55	14:40

#### XII კლასი:

I გაკვეთილი	13:05	13:50
II გაკვეთილი	13:55	14:40
III გაკვეთილი	14:45	15:30

IV გაკვეთილი	15:40	16:25
V გაკვეთილი	16:30	17:15
VI გაკვეთილი	17:20	18:05
VII გაკვეთილი	18:10	18:55

**მუხლი 4. სადამრიგებლო პროგრამა**

სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი/ზრუნვის მენეჯერი.

**4.1. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მუშაობის მიზანი**

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

**4.2. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მოვალეობები**

დამრიგებლის მოვალეობებია:

- ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- ბ) VII-IX კლასებში რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი;
- გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ თუ სასკოლო გარემოში არსებული სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- ე) რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესა და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ზ) გაიგოს მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის მიზეზი;
- თ) კლასებისთვის წელიწადში, მინიმუმ, ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი საგნის მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე

განანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.);

ი) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად;

კ) იმყოფებოდეს საკლასო ოთახში/ოთახთან ყველა დასვენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მორიგეობს სკოლის ტერიტორიაზე 25 წუთიან დასვენებაზე (მორიგეობა არ ეხებათ მე-12 კლასის დამრიგებლებს);

ლ) დამრიგებლის სხვა მოვალეობები აღწერილია სკოლის შინაგანაწესსა და სხვა რეგულაციებში.

#### **4.3. დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მუშაობის პრინციპები**

დამრიგებლის/ზრუნვის მენეჯერის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;

დ) თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დამრიგებლის მოვალეობები შეიძლება შეასრულონ ზრუნვის მენეჯერებმა.

### **მუხლი 5. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრონციპები**

სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილია კათედრები, რომლებშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი.

#### **5.1. საგნობრივი კათედრების ჩამონათვალი**

სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა;

ბ) მათემატიკის კათედრა - საგნები: მათემატიკა, ინფორმატიკა,

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა - საგნები: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში;

- დ) უცხოური ენების კათედრა - საგნები: ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა;
- ე) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - საგნები: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ეკონომიკა და სახელმწიფო;
- ვ) ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა - საგნები: მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი;

## 5.2. კათედრების ფუნქციები

კათედრების ფუნქციებია:

- ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.
- თ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.

## 5.3. კათედრების მოწყობა

ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ბ) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- გ) სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- დ) პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობის (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სემესტრში, მინიმუმ, ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

## მუხლი 6. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

ეროვნული სასწავლო გეგმით, სახელმწიფო პროგრამითა და სკოლის მიერ ინიცირებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომლებიც შეიძლება

განხორციელდეს და რომელიც უფასოა და არ არის სავალდებულო სკოლის მოსწავლეებისათვის:

### 6.1. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი

- ა) სკოლის პანსიონის პროგრამა სკოლის რეგიონისა და თბილისის სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის;
- ბ) მათემატიკის წრე;
- გ) ფიზიკის წრე;
- დ) ინფორმატიკის წრე;
- ე) ქიმიის წრე;
- ვ) ბიოლოგიის წრე;
- ზ) ქართული ენისა და ლიტერატურის წრე;
- თ) ჭადრაკის წრე;
- ი) რუსული ენის წრე;
- კ) ინგლისური ენის წრე;
- ლ) პროექტი IYPT;
- მ) პროექტი IYNT;
- ნ) ინჟინერიის წრე;
- ო) რობოტიკა;
- პ) ექსპერიმენტული ფიზიკის წრე;
- ჟ) ელექტრონიკის წრე;
- რ) ეკონომიკის წრე;
- ს) ჩინური ენის წრე;
- ტ) იტალიური ენის წრე;
- უ) ფრენბურთის წრე.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც უფასოა და სავალდებულოა სკოლის მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის:

- ა) ინფორმატიკა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება სხვა სკოლის მოსწავლეებისათვის:

- ა) პროექტი „შაბათის სკოლა“;
- ბ) პროექტი „სადამოს სკოლა“.
- გ) პროექტი „სტემ სკოლა“.

5. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და სკოლის კურსდამთავრებულებისთვის:

- ა) „საერთაშორისო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კომაროვის ცენტრი“.
- ბ) კომაროვის საზაფხულო ბანაკი

დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ფარგლებში განსახორციელებული წრეებისა და სხვა აქტივობების ცხრილი, პირობები, პედაგოგები განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ.

## 6.2. დამატებითი კონსულტაციები

სკოლის აკადემიურ გარემოსთან მოსწავლის ადაპტირებას და მისი შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებლების მიერ საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა მათი მოსწავლეებისთვის. მათემატიკისა და ფიზიკის თითოეული მასწავლებელი კვირაში ერთხელ გამოყოფს დროს მათი მოსწავლეებისთვის კონსულტაციების ჩასატარებლად სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონსულტაციის ჩატარების დროის და ადგილის შესახებ მოსწავლეებს ინფორმაცია ექნებათ წინასწარ და შეეძლებათ კონსულტაციისთვის გამოყოფილ დროს მივიდნენ საკუთარ მასწავლებელთან, რომელიც სასწავლო საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვას გასცემს პასუხს.

## მუხლი 7. განაყოფები

სკოლა მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში პირველ უცხოურ ენაში ქმნის განაყოფებს. განაყოფებში მოსწავლეთა განაწილების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი/დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი.

სკოლამ შეიძლება შექმნას განაყოფები უცხოურ ენაში, მე-12 კლასელთათვის ქართულ ენასა და ლიტერატურასა და მათემატიკაში, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

## მუხლი 8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

### 8.1. მოსწავლის შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და განვითარება, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

### 8.2. მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკა მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- ბ) მოსწავლის მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
- გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

### 8.3. მოსწავლის შეფასების პრინციპები

- ა) შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი;
- ბ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას;



გ) მოსწავლე ფასდება სხვადასხვა ფორმით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარის შექმნა, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა).

დ) სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

ე) განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ და სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთი სახეა ქვიზი.

ვ) განმსაზღვრელი შეფასება შედგება სამი კომპონენტისგან: მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალება (მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას სემესტრის განმავლობაში შეაფასოს თუ არა მოსწავლე მიმდინარე საკლასო ან/და მიმდინარე საშინაო დავალების კომპონენტში).

ზ) სკოლის დირექტორი უფლებამოსილია საგნობრივ კათედრასთან შეთანხმებით განსაზღვროს განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტების ფორმა, მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა და შეფასების დაწერის გრაფიკი;

თ) განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, წერილობითი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა.

თ) შემაჯამებელი დავალების ფორმები შეიძლება იყოს - ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, მოთხრობის დაწერა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტის განხორციელება, დისკუსიის ორგანიზება, ნახატის შექმნა და სხვა.

ი) მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მასწავლებლის მიერ შერჩეულ დროს მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც უნდა შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით გაკვეთილების შემდეგ.

კ) შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

ლ) იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე არ აღადგენს გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას, სემესტრული ქულა გამოიანგარიშდება შემდეგი პრინციპით: მოსწავლის მიერ დაწერილ შემაჯამებელ დავალებებში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა სემესტრის დასაწყისში საგნისათვის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალების რაოდენობაზე, რაც გამოიწვევს სემესტრული ქულის დადაბლებას.

მ) საკლასო შეფასების ფორმატში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	



9		მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
7		
6	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
5		
4	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.
3		
2		
1		

ნ) არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა/კომენტარი) გამოიყენება საგანში ფიზიკური აღზრდა, ასევე, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში (ინფორმატიკა, ეკონომიკა და სახელმწიფო, კომპიუტერული მეცნიერება, შესავალი თანამედროვე ფიზიკაში). საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და/ან ზეპირი ფორმით).

**8.4. განმსაზღვრელი შეფასების სახეობები**

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. სემესტრული ქულა შეიძლება ამაღლდეს სემესტრული გამოცდის საფუძველზე;
- ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
- გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული. საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. საფეხურის ქულა მრგვალდება მათედიის სიზუსტით.

## 8.5. გაცდენები

- ა) მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) თუ მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე ან სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან არ გავრცელდება ამ მუხლის 8.5. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა. შინ სწავლების განხორციელების განრიგსა და მასწავლებლებს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. შინ სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინსწავლების ფორმით;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე საჭიროებს მკურნალობას ერთ თვეზე ნაკლები ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე ან სხვა ფორმით, სკოლა უფლებამოსილია, განსაზღვრული წესით, ასეთ მოსწავლეს შესთავაზოს გაკვეთილზე დასწრება ონლაინრეჟიმში, გაკვეთილის ტრანსლირების ფორმით;
- ე) იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის 8.5. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე;
- ვ) მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

## 8.6. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- ა) საშემოდგომო გამოცდა - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 4 ან ნაკლები, სკოლა მას დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას თითოეული მოსწავლისათვის. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა რემედიაციის პროგრამის დაძლევისთვის. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და უზრუნველყოფს რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევას. კურიკულუმის შინაარსს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სკოლაში საშემოდგომო გამოცდები ჩატარდება წერილობითი ფორმით, სადაც შეიძლება გამოყენებულ

იქნას, როგორც ტესტური, ისე დახურული დავალებები. საშემოდგომო გამოცდები ფასდება სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ.

ბ) ექსტერნატის გამოცდა - ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

გ) სემესტრული გამოცდა - სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნოდა. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

დ) გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

ე) პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებების მიღება შესაძლებელი იქნება მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში), ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებების მიღება შესაძლებელი იქნება მეორე სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში).

### **8.7. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნის/საგნების შეფასების წესი**

ა) ეს წესი არეგულირებს სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის შეფასების საკითხს იმ საგანში/საგნებში, რომელიც არ უსწავლია წინა სკოლაში;

ბ) მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, თუ წინა სკოლაში არ ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანი, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულ საგანში მოსწავლის შეფასებას;

გ) მოსწავლის შეფასება შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენით ან ამ საგანში გასაუბრებით ან კონპლექსური შემაჯამებელი წერით, რომლის საფუძველზეც მოხდება მოსწავლის წლიური/სემესტრული ქულის გამოყვანა;

დ) შეფასების ფორმას განსაზღვრავს სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

ე) იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული მოსწავლის კომპლექსური შემაჯამებელი წერით ან გასაუბრებით შეფასების შესახებ, სკოლა მოსწავლეს ჩაუტარებს კონსულტაციებს შესაბამის საგანში.

### **მუხლი 9. კლასის დაძლევა და მომდევნო კლასში გადაყვანა**

ა) სკოლის მომდევნო კლასში გადაყვანა ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და ამ წესის შესაბამისად;

ბ) მე-7 და მე-12 კლასელთათვის სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება 5 ქვიზი მათემატიკაში;

- გ) მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასელთათვის ტარდება 5 ქვიზი მათემატიკაში და 5 ქვიზი ფიზიკაში;
- დ) მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასელთათვის სასწავლო წლის ბოლოს ტარდება წლიური გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
- ე) ქვიზების ტესტების სტრუქტურა განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ;
- ვ) ქვიზების ჩატარების წესსა და თარიღებს ადგენს სკოლის დირექტორი;
- ზ) თუ მოსწავლე საკვატო მიზეზით გაცდენს ქვიზს/ქვიზებს, მას დაენიშნება აღდგენა (ერთი ქვიზი საგანში სასწავლო წლის ბოლოს). ორი ქვიზის გაცდენის შემთხვევაში შესაბამისი აღდგენის ქვიზის დანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი;
- თ) მე-8 კლასში ფიზიკის ხუთი ქვიზიდან ერთი იქნება ლაბორატორიული ქვიზი, რომელშიც არ დაიწერება ქულა. დაიწერება დამლევა ან არდამლევა. ლაბორატორიულ ქვიზს მოსწავლე აბარებს აუცილებლად სკოლაში, კომისიის თანდასწრებით. მე-8 კლასის სხვა ქვიზების ტესტის მაქსიმალური ქულაა 25;
- ი) მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასელთათვის მათემატიკის ქვიზი დამლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე დააგროვებს მაქსიმალური ქულის 60%-ს მაინც, ფიზიკის ქვიზი (ლაბორატორიული ქვიზის გარდა) დამლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე დააგროვებს მაქსიმალური ქულის 55%-ს მაინც;
- კ) მე-12 კლასელთათვის მათემატიკის ქვიზი დამლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე დააგროვებს ტესტის მაქსიმალური ქულის 70%-ს მაინც;
- საგანში (მე-8 კლასის ფიზიკის გარდა) ქვიზების ბარიერი დამლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე წლის განმავლობაში დაძლევეს 4 ქვიზს მაინც;
- ლ) მე-8 კლასში ფიზიკის ქვიზების ბარიერი დამლეულად ჩაითვლება, თუ შესრულდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე:
- მოსწავლე წლის განმავლობაში დაძლევეს 4 ქვიზს;
  - მოსწავლე წლის განმავლობაში დაძლევეს 3 ქვიზს (მათ შორის ერთი უნდა იყოს ლაბორატორიული ქვიზი) და 4 ქვიზიდან (ლაბორატორიულის გარდა) თითოეულში მიღებული ქულა უნდა იყოს არანაკლებ 10 და ოთხივე ქვიზში მიღებულ ქულათა ჯამი - არანაკლებ 60;
- მ) მე-9 კლასში წლის განმავლობაში ჩატარებული 5 ქვიზიდან მე-4 ქვიზი წარმოდგენილი იქნება ლიბოლოიანი დავალებებით, რომელშიც კომბინირებული იქნება ექსპერიმენტული ამოცანა.
- მე-9 კლასის ფიზიკის ბარიერი რომ დაძლეულად ჩაითვალოს, უნდა შესრულდეს 2 პირობიდან ერთ-ერთი:
- მოსწავლე წლის განმავლობაში დაძლევეს 4 ქვიზს;
  - მოსწავლე წლის განმავლობაში დაძლევეს 3 ქვიზს და 5 ქვიზიდან თითოეულში მიღებული ქულა უნდა იყოს არანაკლებ 10 და ხუთივე ქვიზში მიღებულ ქულათა ჯამი - არანაკლებ 75.
- ნ) იმისათვის, რომ მოსწავლე გადავიდეს სკოლის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 ან მე-12 კლასში, მან უნდა დაძლიოს შემდეგი ბარიერები (დააკმაყოფილოს სკოლის სტანდარტი):
- მისი მათემატიკისა და ფიზიკის წლიური ნიშანი უნდა იყოს 6 ან მეტი;
  - უნდა დაძლიოს ქვიზების ბარიერი;
  - წლიური ნიშანი არ უნდა იყოს 4 ან ნაკლები არცერთ საგანში.
- ო) იმისათვის, რომ მოსწავლეს საშუალო საფეხური ჩაეთვალოს დამლეულად, უნდა დაძლიოს ქვიზების ბარიერი, წლიური შეფასება 4 ან ნაკლები არ უნდა ჰქონდეს არცერთ საგანში, მე-12



კლასში მათემატიკის წლიური შეფასება უნდა იყოს 6 ან მეტი, საფეხურის საერთო ნიშანი უნდა ჰქონდეს 5.1 ან მეტი.

პ) იმ მოსწავლეს (მე-8 და მე-12 კლასელის გარდა), რომელმაც დაძლია მხოლოდ 3 ქვიზი წლის განმავლობაში, დაენიშნება დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი შესაბამის საგანში და მისი დაძლევის შემთხვევაში ქვიზების ბარიერი ჩაეთვლება დაძლეულად. დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზის დაძლევის პირობები განისაზღვრება იმავე წესით. მოსწავლეს, რომელმაც დაძლია 0, 1 ან 2 ქვიზი, დამატებითი ქვიზი არ დაენიშნება;

ჟ) მე-8 კლასის მოსწავლეს მათემატიკაში დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი დაენიშნება ამ მუხლის 8.5. პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

რ) მე-8 კლასის მოსწავლეს დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი ფიზიკაში დაენიშნება, თუ ის სასწავლო წლის განმავლობაში დაძლევეს 3 ქვიზს ფიზიკაში და ვერ დაძლევეს ამ მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბარიერს ფიზიკაში;

მე-9 კლასის მოსწავლეს დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი ფიზიკაში დაენიშნება, თუ ის სასწავლო წლის განმავლობაში დაძლევეს 3 ქვიზს ფიზიკაში და ვერ დაძლევეს ამ მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბარიერს ფიზიკაში;

ს) მე-12 კლასის მოსწავლეს, რომელმაც ვერ დაძლია ქვიზების ბარიერი, დაენიშნება დამატებითი, საბოლოო ქვიზი მათემატიკაში და მისი დაძლევის შემთხვევაში ქვიზების ბარიერი ჩაეთვლება გადალახულად. დამატებითი (საბოლოო) ქვიზის დაძლევის პირობები განისაზღვრება იმავე წესით;

ტ) სკოლის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (FLEX და HMC) მონაწილე მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლე, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად დაძლევეს შესაბამის კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიღწევის დონეს, სკოლის მომდევნო კლასში გადასასვლელად, ვალდებულია ჩააბაროს დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი მათემატიკასა და ფიზიკაში.

უ) სკოლის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (FLEX და HMC) მონაწილე მე-12 კლასის მოსწავლემ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიღწევის დონეს, კლასის დასაძლევად, უნდა დაძლიოს დამატებითი (საშემოდგომო) ქვიზი მათემატიკაში;

ფ) თუ მოსწავლის დაძლეული აქვს ქვიზების ბარიერი, მაგრამ მისი წლიური ქულა მათემატიკაში ან ფიზიკაში არის 5, მაშინ ის წერს დამატებით (საშემოდგომო) ქვიზს;

ქ) თუ წლიური ქულა არის 4 ან ნაკლები და მხოლოდ ამის გამო მან ვერ გადალახა კლასიდან კლასში გადასასვლელი ბარიერი, მას დაენიშნება გამოცდა (საშემოდგომო) ამ საგანში/საგნებში. მოსწავლის მიერ საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება საგნის წლიური ქულა;

ღ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვიზს ვერ დაძლევეს ამ კლასის სკოლის მოსწავლეთა (სიითი შემადგენლობის) 35% მაინც, სკოლის დირექტორი ვალდებულია, დანიშნოს ქვიზის აღდგენა. აღდგენაზე გადაინ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებმაც ვერ დაძლიეს ამ ქვიზის ბარიერი;

ყ) საშემოდგომო გამოცდების ჩატარების თარიღი განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში;

შ) მოსწავლეს, რომელიც დაძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიღწევის დონეს, მაგრამ ვერ დაძლევეს სკოლის მიერ განსაზღვრულ კლასიდან კლასში გადასასვლელ ბარიერს, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში;

ბ) სკოლის დირექცია უფლებამოსილია, ქვიზების ბარიერი დაძლეულად ჩაუთვალოს სკოლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის იმ მოსწავლეებს, რომლებიც 2023-2024 სასწავლო წლის:

- ეროვნულ ოლიმპიადაზე დასკვნით ტურში მათემატიკაში ან ფიზიკაში, ან ინფორმატიკაში აიღებენ მაქსიმალური ქულის 50%-ზე მეტს;

- იქნებიან ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულები;

- საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ან რეზერვისტები, ან რეზერვისტებთან გათანაბრებული პირები მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიაში ან ბიოლოგიაში;

- იქნებიან საქართველოს ნაკრების წევრები IYPT ან IYNT-ში.

ც) ქვიზების თემატიკა და გრაფიკი ცნობილი უნდა იყოს ქვიზამდე 7 დღით ადრე მანც;

ძ) სკოლის დირექტორი უფლებამოსილია განსაკუთრებულ შემთხვევებში (პანდემია ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებები) მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება ქვიზის გაუქმების შესახებ. გაუქმებული ქვიზი ყველა მოსწავლეს ჩაეთვლება დაძლეულად;

ჭ) მოსწავლის მომდევნო კლასში გადაყვანა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 10. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი არის სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა, რომლის მიზანია შეფასების პროცესი იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. შეფასება მთლიანად სკოლის პასუხისმგებლობაა, შესაბამისად, სკოლა უზურნველყოფს, რომ პროცესი იყოს ზუსტად დაგეგმილი და სამართლიანად განხორციელებული.

### 10.1. ვერიფიკაციის ამოცანები

ვერიფიკაციის ამოცანებია:

ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;

ბ) მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი;

გ) მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეების შედეგების გასაუმჯობესებლად.

### 9.2. ვერიფიკაციის მიმართულებები

ვერიფიკაციის მიმართულებებია:

ა) სკოლაში დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებებისთვის, ყველა ტიპის გამოცდისა და ქვიზებისთვის შედგენილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია;

ბ) სკოლაში დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებების, ყველა ტიპის გამოცდისა და ქვიზის ჩატარების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) სკოლაში დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებების, ყველა ტიპის გამოცდისა და ქვიზის შედეგების/მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ქულების ვერიფიკაცია.

## მუხლი 11. სასკოლო საათობრივი ბადე (იხ. დანართი)

- ა) საგაკვეთილო ცხრილი გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
- ბ) სემესტრის განმავლობაში სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, დროებით შეცვალოს საათობრივი ბადე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:
- პედაგოგის დროებითი ცვლილების შემთხვევაში;
  - ცხრილის უმნიშვნელო ცვლილების შემთხვევაში.
- გ) ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სამოქალაქო განათლებაში, მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.
- პროექტის შერჩევა მოსწავლესთან შეთანხმებით ხდება. პროექტი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; პროექტზე მუშაობის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი. პროექტზე სამუშაოდ გამოყოფილია არა უმეტეს ორ კვირაში 1 საათი. თუმცა, სკოლა/მასწავლებელი მოსწავლეებთან შეთანხმებით ადგენს პროექტზე მუშაობის გრაფიკს, სწავლების ფორმატს (მას შეიძლება არ ჰქონდეს მკაცრად განსაზღვრული 45 წუთიანი გაკვეთილის სახე), ის შეიძლება წარიმართოს კლუბური მუშაობის მსგავსად, იმ დოზითა და ფორმატით, როგორც მოსწავლისა და კლასის საჭიროება მოითხოვს.

## მუხლი 12. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი

- ა) გრიფირებული სახელმძღვანელოები (იხ. დანართი);
- ბ) დამხმარე სახელმძღვანელოები;
- გ) რუკები;
- დ) კომპიუტერები;
- ე) სმარტბორდები;
- ვ) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები;
- ზ) ბიბლიოთეკა;
- თ) მუზეუმი;
- ი) თეატრი;
- კ) კულტურული ძეგლი;
- ლ) თვალსაჩინოებები;
- მ) დისტანციური სწავლების პლატფორმები;
- ნ) ინტერნეტ რესურსები.



### მუხლი 13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ) არის მოსწავლე, რომელიც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, აგრეთვე მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან და/ან სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, გახანგრძლივებული სირთულეები და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე ვერ აკმაყოფილებს.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური შეზღუდვა;
- ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- გ) სწავლის უნარის დარღვევა;
- დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;
- ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
- ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომ – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.

ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

#### 13.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეთათვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგანებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

- ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
- ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
- გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
- ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
- ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

### 13.2. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენა

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
  - ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
  - ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა აცხადებს მზაობას შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლის მიზნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

### 13.3. სკოლაში არსებული ფიზიკური გარემო სსსმ მოსწავლისთვის

- ა) სსსმ მოსწავლის საკლასო ოთახი განთავსებული უნდა იყოს პირველ სართულზე;
- ბ) სკოლაში გაკეთებულია პანდუსები;
- გ) სკოლაში სსსმ პირებისთვის ადაპტირებულია სველი წერტილები.

## მუხლი 14. პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს საერთაშორისო პროგრამებისა და უნივერსიტეტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც:

- ა) მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- ბ) მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- გ) მოსწავლეებს ეხმარება პროფესიული გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების შეძენაში;
- დ) მოსწავლეებს ეხმარება საზღვარგარეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებაში.

## მუხლი 15. მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

- ა) სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის;
- ბ) სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით;
- გ) სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
- დ) სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- ე) სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- ვ) სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით;
- ზ) სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით;
- თ) სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რომლის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით;
- ი) სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო)
- კ) მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 16. სკოლის გარემოში მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა

1. სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეებს სკოლის გარემოსთან ადაპტაციაში დასახმარებლად სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ზრუნვის სამსახური.

მოსწავლეთა ზრუნვის სამსახური სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის მიზნით:

ა) ეხმარება მოსწავლეს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებასთან შეგუებაში;

ბ) სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებაში, რომ შეძლოს საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვა.

გ) ადგენს ადაპტაციის შემაჯერებელ გარემოებებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.

სკოლის ადმინისტრაცია კლასის დამრიგებელს/ზრუნვის მენეჯერს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;

დ) აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია აწვდის კლასის დამრიგებელს/ზრუნვის მენეჯერს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;

კლასის დამრიგებელი/ზრუნვის მენეჯერი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს/მოსწავლეებს აცნობს კლასის მასწავლებლებს.

ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი /ზრუნვის მენეჯერი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას.

ზოგადად დამრიგებელი/ზრუნვის მენეჯერი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;

დამრიგებელი /ზრუნვის მენეჯერი მუდმივ კომუნიკაციაშია მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

დამრიგებელი/ზრუნვის მენეჯერი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეებს აცნობს მათ უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

2. სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

3. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის.

4. დამრიგებელი /ზრუნვის მენეჯერი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

5. სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან სახელმძღვანელოებით, უსასყიდლოდ.

6. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

7.დამრიგებლების/ზრუნვის მენეჯერის მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ.

8.მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.

## **მუხლი 17. პერსონალის მართვა და განვითარება**

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით სკოლა შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია შექმნას იმგვარი სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლებს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშეწყობა აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ზრდის მექანიზმებსა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

## **მუხლი 18. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

სასკოლო დროს, სკოლის ტერიტორიაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლა შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკას.

უსაფრთხოების პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს, სკოლის ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და მექანიზმებს.

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.



სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შემოღებული აქვს მორიგეობის გრაფიკი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლის მიზნით დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. სკოლის შენობაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს სამედიცინო პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

## **მუხლი 19. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორებიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია სპორტული მოედნები. სკოლის შენობა ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

## **მუხლი 20. საინფორმაციო რესურსები**

სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. ასევე, კომპიუტერებში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია პროექტორით. სკოლაში ხელმისაწვდომია საჭირო რაოდენობის პორტაბელური კომპიუტერი, ყველა მასწავლებელს შეუძლია საგაკვეთილო პროცესში გამოიყენოს ელექტრონული საგანმანათლებლო ვიზუალური რესურსი.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ასევე, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას აქვს აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

### **20.1 მშობლებთან შეხვედრების ორგანიზება**

სასკოლო საზოგადოებას შორის კომუნიკაციის სრულყოფის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს პედაგოგებისა და მშობლების შეხვედრას განსაზღვრული წესის შესაბამისად.

## **მუხლი 21. ფინანსური რესურსები**

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და ხარჯი. სკოლის შემოსავალი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და დამატებითი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის პასნიონის ფუნქციონირება ხორციელდება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებითა და სკოლის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით თანაბარწილად.

სკოლის საჭიროებისა და განვითარებისთვის ფინანსების ხარჯვა ხორციელდება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 22. სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის, დანერგვისა და მონიტორინგის მეთოდები და მექანიზმები**

1. სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება ხდება სკოლის დირექციის მიერ კათედრებთან თანამშრომლობით. დოკუმენტის შექმნისას გათვალისწინებულია წინა წლების შედეგები, პედაგოგებისგან, მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირი.

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისას მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მოსწავლე იყოს ცენტრალური სუბიექტი, ანუ მან დააიდენტიფიციროს, განიხილოს და გადაწყვიტოს პრობლემები, გაეცნოს ახალ ინფორმაციას, დაამუშაოს იგი და განიხილოს სხვადასხვა კონტექსტში.

ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებელი უზრუნველყოფს ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნას, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

2. სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, რომელთა შორის შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრები, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირი და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ.



### მუხლი 23. სასკოლო-სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა

- ა) სასკოლო-სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას დირექტორის წარდგინებით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესი გადავიდა ონლაინ (დისტანციურ) რეჟიმზე, საგაკვეთილო ცხრილს, რომელიც იმოქმედებს გონივრული ვადით მხოლოდ დისტანციური და/ან ჰიბრიდული სწავლების რეჟიმის დროს, ამტკიცებს სკოლის დირექტორი.